



ტრენინგი - სემინარი სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (SEA) სკოპინგი

2016 წლის 19 აპრილი
თბილისი, საქართველო



სკოპინგის გადაწყვეტილება

UNECE-ს საერთაშორისო კონსულტანტები SEA-ს საკითხებში:

ბ-ნი მარტინ სმუტნი
ბ-ნი მიხალ მუსილი

სკოპინგის მიზანი

სკოპინგის შედეგად გამოვლენილი უნდა იქნას გარემოსდაცვითი ან ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც სგშ-ს განხორციელებისას უნდა იქნას გათვალისწინებული.

სკოპინგის შედეგად, შეძლებისდაგვარად, ასევე უნდა იქნას განსაზღვრული:

- შეფასების ტერიტორიული მასშტაბები და ძირითადი პრობლემური საკითხები,
- დაინტერესებული მხარეები, რომლებიც ჩართულნი უნდა იქნან,
- გასათვალისწინებელი მონაცემები და ინფორმაცია.

სკოპინგის გადაწყვეტილება

ძირითადი მიზანი (I.):

- ფორმალურად იქნას განსაზღვრული შემდგომი ანალიზის „სფერო“, ანუ სგშ-ს გუნდის ტექნიკური დავალება
 - საკითხების (თემების) განსაზღვრა, რომელზედაც უნდა იყოს ორიენტირებული სგშ და სგშ-ს ფარგლების/საზღვრების დადგენა (მაგ., ჰაერის ხარისხთან დაკავშირებული საკითხები შევა, მაგრამ არ შევა ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებული საკითხები, გარდა წყლის ეკოსისტემებისა)
 - დაგეგმვის ალტერნატივების შეფასებასთან დაკავშირებული მოთხოვნების განსაზღვრა (თუ არსებობს, ან სასურველია)
 - სგშ-ს პროცესში გამოსაყენებელი/სასურველი ნებისმიერი ანალიტიკური მეთოდის მითითება (მაგ., დაცულ ტერიტორიებსა და დაგეგმილ ინფრასტრუქტურას შორის კონფლიქტების მულტიკრიტერიული ანალიზი, ან GIS რუკა)
 - სტრატეგიული დოკუმენტების, ან გარემოსდაცვითი პოლიტიკის მიზნების მიმოხილვა, რაც უნდა შევიდეს სგშ-ს ფარგლებში შესაბამისობის ანალიზში

2016 წლის 19 აპრილი

სკოპინგის გადაწყვეტილება

ძირითადი მიზანი (II.):

- იმ დაინტერესებული მხარეების განსაზღვრა, რომლებთანაც უნდა გაიმართოს კონსულტაციები
- შემდგომ საკონსულტაციო პროცესთან დაკავშირებული მოთხოვნების განსაზღვრა (მაგ., დედაქალაქში უნდა ჩატარდეს მხოლოდ ერთი საჯარო განხილვა, ან 3 დამატებითი საჯარო სემინარი უნდა ჩატარდეს პოტენციურად ყველაზე დიდ ზეგავლენას დაქვემდებარებულ 3 უბანში)

სკოპინგის გადაწყვეტილება (გაგრძელება)

სკოპინგის გადაწყვეტილება არ არის სკოპინგის ანგარიშის განხილვა, ან მასზე პასუხი, ან მისი დამტკიცება!

იგი მთლიანად უნდა იყოს ორიენტირებული სგშ-ს პროცესის შემდგომ ფაზაზე.

- სკოპინგის გადაწყვეტილება არის სგშ-ს უწყების ავტორიტეტული განაცხადი, იგი შეიძლება ეთანხმებოდეს, ან არ ეთანხმებოდეს სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილ მოსაზრებებს
- სკოპინგის გადაწყვეტილება ეყრდნობა სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილ ინფორმაციას და სკოპინგის პროცესში შესაბამისი დაინტერესებული მხარეებისაგან მოწოდებულ მოსაზრებებს

ქეისი - მაგალითი 1: ტრანსპორტის სექტორის სტრატეგია 2-ის სგშ

- სტრატეგია შეეხება 1270 საგზაო პროექტს 260 ჯგუფად, 360 სარკინიგზო ხაზს 90 ჯგუფად და წყლის ტრანსპორტის 20 პროექტს 3 ჯგუფად
- პრიორიტეტული ინვესტიციების შერჩევის მიზნით მასში გამოყენებულია მულტიკრიტერიული ანალიზი
 - პროექტის სასურველობა (ტრანსპორტი, ეკონომიკა, სოციალური)
 - განხორციელებასთან დაკავშირებული ბარიერები (მიწათსარგებლობის დაგეგმვა, გარემოსდაცვითი)
 - ხარჯ-სარგებლის წინასწარი ანალიზი
- სატრანსპორტო მოდელი იძლევა ინფორმაციას ქსელზე ტრანსპორტის ამჟამინდელი და სამომავლო ინტენსივობის და მისი შესაძლო ცვლილებების შესახებ ინდივიდუალური ინვესტიციების განხორციელების შემთხვევაში
- GIS მონაცემები მხოლოდ კორიდორებისათვის (+/- 1 კმ სიზუსტის ციფრული რუკა)

2016 წლის 19 აპრილი

სკოპინგისას განხილული ძირითადი საკითხები

მნიშვნელოვანი საკითხები:

- ბიომრავალფეროვნება და ნატურა 2000
- ჰაერის ხარისხი
- ჯანმრთელობა

ნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხები:

- წყალი, კულტურული მემკვიდრეობა, ტყეები, ნიადაგი

ტრანსსასაზღვრო ზეგავლენა

ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებული საკითხები

- ნატურა 2000-ის საიტები
- განსაკუთრებული დაცული ტერიტორიები
- ბუნებრივი ჰაბიტატების დაკარგვა
- ეკოლოგიური სტაბილურობის სუპრარეგიონული და რეგიონული ტერიტორიული სისტემები
- მნიშვნელოვანი ლანდშაფტური მახასიათებლები
- ლანდშაფტის ფრაგმენტაცია (ახალი პროექტები ტრანსპორტის მოძრაობით დაუნაწევრებელ ადგილებში; მიგრაციისათვის მნიშვნელოვან ადგილებში)
- ლანდშაფტის წყლის რეჟიმი (ჭარბტენიანი ტერიტორიები, დაცული ტერიტორიები წყლის ბუნებრივი დაგროვებისათვის და ვრცელი ტყეებით დაფარული ადგილები)

2016 წლის 19 აპრილი

ჰაერის ხარისხთან დაკავშირებული საკითხები

ტრანსპორტის ინტენსიურობის ცვლილება:

- ქალაქის ტიპის დასახლებებში (ძველი და ახალი გზები, ინტენსივობის ზრდა და კლება დღიურად 15,000 მანქანაზე ქვემოთ)
- მგრძობიარე ეკოსისტემები (ვრცელი დაცული ტერიტორიები, ტყეები, ზღვის დონიდან 800 მ-ზე მაღლა მდებარე ადგილები)

ჯამური გაფრქვევები ჰაერის ხარისხის არადამაკმაყოფილებელი სტატუსის მქონე ადგილებში

ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხები

- ჰაერში გაფრქვევები ქალაქის ტიპის დასახლებებში
- ხმაური (იზონაზები 60 დბ)
- სოციო-ეკონომიკური შედეგები (მისაღებობა სამსახურთან დაკავშირებული მგზავრობისათვის და სოციალური და ჯანდაცვის მომსახურების ობიექტებთან)

2016 წლის 19 აპრილი

ნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხები

- წყალი: წყლის ბუნებრივად დაგროვების ადგილები და სასმელი წყლის მიწოდების წყლის ობიექტები, მინერალური წყლების დაცული ტერიტორიები, დამცავი ჯებირების ეფექტი წყალდიდობის ზონებში)
- ნიადაგი: ზოგადი ზეგავლენა ნიადაგის ტიპებზე
- კულტურული მემკვიდრეობა: ეროვნულ დონეზე მნიშვნელოვანი კულტურული მონუმენტები და დაცული მემკვიდრეობა - ვიზრაციის ზეგავლენა და ესთეტიკასთან დაკავშირებული საკითხები
- კლიმატის ცვლილება: ტრანსპორტის სექტორის კლიმატის ცვლილების შერბილების მიზნებთან შესაბამისობა

2016 წლის 19 აპრილი

არ იქნება განხილული

- ნარჩენები
- ნიადაგი და ტყეები

სგშ-ს გუნდის შემოთავაზება იყო, რომ ზემოაღნიშნული საკითხები არ ყოფილიყო განხილული, თუმცა გარემოს დაცვის სამინისტრომ მოითხოვა „სრული შეფასება“

სკოპინგის გადაწყვეტილების სრული ტექსტი თანდართულია.

2016 წლის 19 აპრილი

სკოპინგის გადაწყვეტილების შემოთავაზებული სტრუქტურა

იხილეთ თანდართული ფორმა

2016 წლის 19 აპრილი

სკოპინგის პროცედურის პრაქტიკულ განხორციელებასთან დაკავშირებული მოსაზრებები

- სგშ უწყებამ უნდა განავითაროს რესურსები/შესაძლებლობები, რათა სათანადოდ შეძლოს შემდეგის განხილვა:
 - სგშ-ს მოთხოვნილ ფორმატში/მასშტაბებში განხორციელებადობა (დრო, დანახარჯები, მონაცემთა ხელმისაწვდომობა)
 - დამატებითი მნიშვნელობა/ღირებულება დაგეგმვის პროცესისათვის (უმთავრესი მიზანია დამგეგმავი ორგანოს ხელშეწყობა „უფრო მწვანე“ გეგმის, ან პროგრამის შემუშავებაში და არა დაგეგმვის პროცესის შეფერხება)
 - გეგმის, ან პროგრამის გარემოზე ზეგავლენის რეალური პოტენციალი (ანუ, სგშ-ს პროცესში ძირითადი გარემოსდაცვითი/ჯანდაცვასთან დაკავშირებული საკითხების გათვალისწინება და იმ ასპექტებზე ორიენტირება, სადაც გეგმას / პროგრამას ზოგადი გარემოსდაცვითი მდგომარეობის რეალურად შეცვლა შეუძლია, ნაცვლად იმისა, რომ დაჟინებით ვითხოვდეთ ყოველი თეორიული (მაგრამ რეალობაში - სავარაუდოდ მარგინალური) ზეგავლენის ანალიზს

2016 წლის 19 აპრილი

კითხვები, ან კომენტარები?

გმადლობთ ყურადღებისათვის!

2016 წლის 19 აპრილი